ტესტ-კითხვარი

.....

მსმენელის სახელი გვარი

- o ტესტი შესრულდა სასწავლო პროგრამის დაწყებამდე
- o ტესტი შესრულდა სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ

კითხვარი მოიცავს 20 შეკითხვას. ქვემოთ წარმოდგენილი ვარიანტებიდან შეარჩიეთ და შემოხაზეთ ერთი სწორი პასუხი:

1. **ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან ონკოინკურაბელური პაციენტების პალიატიური მკურნალობის შესახებ რომელია მართებული:**
   ა) ონკოინკურაბელური პაციენტების პალიატიური მოვლა უნდა განხორციელდეს აუცილებლად საავადმყოფოს პირობებში;
   ბ) პალიატიური მკურნალობა სამედიცინო მომსახურებაა, რომლითაც პაციენტის მდგომარეობა რადიკალურად არ უმჯობესდება, არ იცვლება არაკეთილსაიმედო პროგნოზი და რომლის მიზანი პაციენტის მდგომარეობის დროებითი შემსუბუქებაა;
   გ) პალიატიური მკურნალობა სამედიცინო მომსახურებაა, რომელიც მიზნად ისახავს პაციენტის სიცოცხლის ხანგრძლივობის მაქსიმალურად გაზრდას;
   დ) პალიატიური მკურნალობის პროგნოზი უხშირესად კეთილსაიმედოა.

2. **ონკოლოგიურ პაციენტებში ტკივილის მართვის ამოცანაა**

   ა) ტკივილი მიზეზის იდენტიფიცირება;
   ბ) ტკივილის რეციდივულობის პრევენცია;
   გ) პაციენტის მეხსიერებიდან ტკივილის ეპიზოდების ამოშლა;
   დ) ნათელი ცნობიერების შენარჩუნება;
   ე) ყველა ზემოაღნიშნული

3. **ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია მიჩნეული შერჩევის მეორე რიგის ანალგეზიურ თერაპიად ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებში?**

   ა) ჰიდროკოდონი
   ბ) აცეტამინოფენი
   გ) მორფინის სულფატი
   დ) ლევორპანოლი
   ე) ჰიდრომორფონი

4. **ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი არ არის მიჩნეული შერჩევის მესამე რიგის ანალგეზიურ თერაპიად ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებში?**

   ა) მეთადონი
   ბ) მორფინის სულფატი
   გ) ჰიდრომორფონი
   დ) ფენტანილი

ე) კოდეინი

5. **როგორია მორფინის სულფატის საშუალო საწყისი დღიური დოზა პაციენტებში ზომიერად ძლიერი სიმსივნური გენეზის ტკივილით?**

ა) 10-15 მგ
ბ)15-30 მგ
გ) 30-60 მგ
დ) 60-120 მგ
ე) 120-240 მგ

6. **ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან სიმსივნური ტკივილის კუპირებისათვის მორფინის გამოყენების თაობაზე რომელია მართებული?**

ა) მორფინის მიმართ სწრაფად ვითარდება ტოლერანტობა
ბ) მორფინი იწვევს ეიფორიას
გ) მორფინზე ვითარდება დამოკიდებულება
დ) მორფინი იწვევს რესპირატორული ფუნქციების დათრგუნვას
ე) არც ერთი ჩამოთვლილი

7. **ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებებით მკურნალობის დაწყებასთან ერთად საჭიროა პაციენტმა მიიღოს ქვემოთ ჩამოთვლილიდან შემდეგი:**

ა) მედიკამენტები შეკრულობის პრევენციის მიზნით
ბ) მედიკამენტები გულისრევისა და ღებინების პრევენციის მიზნით
გ) მედიკამენტები სედაციის გაძლიერების მიზნით
დ) მედიკამენტები ძილიანობის პრევენციის მიზნით
ე) ანტიდეპრესანტები

8. **ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია ავთვისებიანი სიმსივნეებით გამოწვეული ტკივილის მართვის აუცილებელი ელემენტი (ები)?**

ა) პაციენტზე ინტერდისციპლინარული მოვლის უზრუნველყოფა
ბ)ტკივილის კონტროლის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, რომელიც შეთანხმებული იქნება პაციენტთან
გ) ტკივილის ინტენსივობისა და დინამიკის რეგულარული შეფასება
დ) ტკივილის პრევენციის ან კონტროლის მიზნით ფარმაკოლოგიური და არაფარმაკოლოგიური ღონისძიებების გამოყენება
ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

9. **პალიატიური დახმარების დროს ტკივილის მართვის მიზანია:**

ა) ტკივილის მიზეზის იდენტიფიცირება
ბ) ტკივილის რეციდივის პრევენცია
გ) ნათელი ცნობიერების შენარჩუნება
დ) რეაგირების ნორმალური უნარის შენარჩუნება
ე) ყველა ზემოაღნიშნული

10. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია ყველაზე ეფექტური გზა ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებებით გამოწვეული კონფუზიისა და ძილიანობის თავიდან ასაცილებლად?

ა) ანალგეზიური საშუალების დოზის შემცირება
ბ) ერთი ნარკოტიკული საშუალების შეცვლა მეორე ორალური პრეპარატით
გ) მკურნალობის სქემაში მეთილფენიდატის ჩართვა
დ) პრეპარატის მიწოდების ტრანსდერმალური სისტემის გამოყენება
ე) მხოლოდ და მხოლოდ ორალური მეთადონის გამოყენება

11. ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელი ახდენს ზეგავლენას სიმსივნით დაავადებული პაციენტების ტკივილის ზღურბლზე.

ა) უძილობა
ბ)შიში
გ) შფოთვა
დ) მწუხარება
ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

12. **ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან სიმსივნური დაავადების ფონზე აღმოცენებული ტკივილის კონტროლის მიზნით ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებების გამოყენების თაობაზე რომელია მართებული?**

ა) სიმსივნური ტკივილი, შემთხვევათა უმრავლესობაში, წარმატებით ემორჩილება ორალური ნარკოტიკული საშუალებებით მკურნალობას
ბ) საკმაოდ ეფექტურია ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებების რექტალური ფორმები
გ) ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებების კანქვეშა ინფუზია ყველაზე მისაღები მეთოდია იმ პაციენტებისათვის, ვინც რაიმე მიზეზის გამო ორალური ნარკოტიკული საშუალებების მიღებას ვერ ახერხებს
დ) სიმსივნით დაავადებულ ტერმინალურ პაციენტებში ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებების რეგულარული ინტრამუსკულარული ინექციებით ტკივილის კუპირება საკმაოდ კარგი ალტერნატივაა
ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი
ვ) მხოლოდ ა,ბ და გ

13. «მტკივნეული პირის ღრუსა» და დაზიანების თეთრი კერების მკურნალობისათვის, რომლებიც ენის დეპრესორის შეხებაზე იქერცლება, რა პრეპარატებია რეკომენდებული?

ა) კეტოკონაზოლი
ბ) პენიცილინი
გ) ამფოტერიცინი B
დ) ქლორამფენიკოლი
ე) მეთოტრექსატი

14. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი პრეპარატია რეკომენტებულია პალიატიური რადიოთერაპიის ფონზე აღმოცენებული დიარეის სამკურნალოდ?

ა) დიფენოქსილატის ჰიდროქლორიდი
ბ) ლოპერამიდი
გ) კოდეინი
დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი
ე) არც ერთი ჩამოთვლილი

15. **რომელი სიმპტომია სიმსივნით დაავადებულ პაციენტებში ყველაზე ხშირი?**

ა) ანორექსია
ბ) ასთენია
გ) ტკივილი
დ) გულისრევა
ე) ყაბზობა

16. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია ქრონიკული გულისრევისა და ღებინების ყველაზე ხშირი მიზეზი პაციენტებში შორსწასული სიმსივნური დაავადებებით?

ა) ნაწლავის ობსტრუქცია
ბ) ქალასშიდა წნევის მომატება
გ) ნარკოტიკული ნაწლავის სინდრომი
დ) ჰიპერალცემია
ე) აუტოიმუნური დეფიციტი

17. ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებებით ინდუცირებული გულისრევისა და ღებინების თაობაზე ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან რომელია მართებული?

ა) გულისრევა და/ან ღებინება განსაკუთრებით ხშირია ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებების დანიშვნის საწყის ეტაპზე;
ბ) ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებებით გამოწვეული გულისრევა და/ან ღებინება, ჩვეულებრივ, მათი დანიშვნიდან 2 კვირაში იწყება;
გ) გარკვეული მედიკამენტებით შესაძლებელია ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებებით გამოწვეული გულისრევისა და/ან ღებინების პრევენცია;
დ) მართებულია ყველა ზემოაღნიშნული
g) არც ერთი არ არის მართებული

18. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია შერჩევის მედიკამენტი ავთვისებიანი სიმსინეების ფონზე განვითარებული ასციტის სამკურნალოდ?

ა) ჰიდროქლორთიაზიდი
ბ)სპიროლაქტონი
გ) პრედნიზოლონი
დ) დექსამეტაზონი
ე) არც ერთი ჩამოთვლილი

19. რომელია შორსწასული სიმსივნეების დროს ყველაზე საშიში მეტაბოლური მოშლილობა?

ა) ჰიპონატრემია
ბ) ჰიპოკალემია
გ) ჰიპერკალცემია
დ) ჰიპომაგნემია
ე) ჰიპერკალემია

20. რომელია შერჩევის მკურნალობა ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებებით ინდუცირებული შეკრულობის დროს?

ა) სენას პრეპარატები
ბ) ფსილიუმი
გ) ლაქტულოზა
დ) მეტამუცილი